

საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის სახელმწიფო დეპარტამენტის

ერთობლივი ბრძანება №12-03 №1/4 – 03

1996 წლის 11 ივლისი

ქ.თბილისი

მეთოდური მითითებანი მცირე საწარმოებში საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშგების გამარტივებული ფორმების

შესახებ

I. ზოგადი დებულებანი

1.1. წინამდებარე მითითებები ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების გამარტივებული ფორმების შესახებ შემუშავებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და განკუთვნილია იმ მცირე საწარმოებისათვის, რომელთაც სრულ შტატში ჰყავთ არაუმეტეს 20 თანამშრომლისა (შემდგომში „მცირე საწარმო“), მიუხედავად მათი საქმიანობის სახის, ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა და უწყებრივი დაქვემდებარებისა.

1.2 მცირე საწარმო ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს ერთიანი მეთოდოლოგიის საფუძველზე იმ წესით, რომელიც დადგენილია ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულებით, საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმით, წინამდებარე მითითებებით და სხვა ნორმატიული აქტებით.

1.3. საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების შესაბამისად მცირე საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მის ხელმძღვანელს.

ბუღალტრული აღრიცხვა მცირე საწარმოში როგორც წესი წარმოებს ბუღალტერიის მიერ, რომელიც წარმოადგენს მის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს (სამსახურს) რომელსაც სათავეში უდგას მთავარი ბუღალტერი. მცირე საწარმოში, რომელსაც არ გააჩნია ბუღალტრული სამსახური, საბუღალტრო აღრიცხვას და ანგარიშგებას სახელშეკრულებო საწყისებზე შეიძლება ახორციელებდეს სპეციალიზირებული ორგანიზაცია (ცენტრალიზებული ბუღალტერია), სპეციალისტი ან მუშაკი რომელსაც საწარმოს ხელმძღვანელის მიერ წერილობით განკარგულების საფუძველზე მინიჭებული აქვს ასეთი უფლება.

1.4 მცირე საწარმო დამოუკიდებლად განსაზღვრავს ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაციას, რომელიც უნდა მოიცავდეს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სამუშაო გეგმას, ბუღალტრული სააღრიცხვო რეგისტრებს, პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების შემადგენლობასა და სახეებს, საბუთბრუნვებსა და სხვა სააღრიცხვო პროცედურებს.

1.5. მცირე საწარმოში ბუღალტრული აღრიცხვის საწყის ეტაპს წარმოადგენს ყველა სამეურნეო ოპერაციის შესახებ სრული დოკუმენტაციის შედგენა პირველადი სააღრიცხვო ინფორმაციის განსაზღვრული მატარებლების შედგენის გზით.

მცირე საწარმოებს შეუძლიათ ოპერაციების დოკუმენტაციის შესადგენად გამოიყენონ პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ტიპური საუწყებათშორისო ფორმები, საუწყებო ფორმები, აგრეთვე ისეთი ფორმები, რომლებიც შემუშავებულია დამოუკიდებლად ტიპური ფორმებიდან გამომდინარე და რომლებიც მოიცავენ აუცილებელ რეკვიზიტებს და უზრუნველყოფენ მომხდარი ოპერაციების ბუღალტრულ აღრიცხვაში უტყუარ ასახვას.



პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების აუცილებელი რეკვიზიტებს. მიეკუთვნება: დოკუმენტის (ფორმის) დასახელება, შედგენის თარიღი, სამეურნეო ოპერაციის შინაარსი, სამეურნეო ოპერაციების მაჩვენებელი (რაოდენობრივ და თანხობრივ გამოხატულებაში), პასუხისმგებელი პირების დასახელება, პასუხისმგებელი სამეურნეო ოპერაციების შესრულებაზე და მის გაფორმებაზე, პირადი ხელმოწერები და მათი გაშიფვრა.

ბუღალტერიაში შემოსული პირველადი დოკუმენტები მოწმდება ფორმებისა (სისრულე და მათი გაფორმების სისწორე) და შინაარსის (ოპერაციების კანონიერება, ცალკეული მაჩვენებლების ლოგიკური თავსებადობა) მიხედვით.

1.6. მოცემული ინფორმაციის დაგროვების, კლასიფიკაციისა და განზოგადებისათვის მათი ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებს და ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახვისათვის გათვალისწინებულია ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები.

მცირე საწარმოს რეკომენდაცია ეძლევა ბუღალტრული აღრიცხვა აწარმოს შემდეგი რეგისტრებისა და ფორმების (ანგარიშსწორების ფორმები) გამოყენებით:

- მემორიალურ-ორდერული ფორმით;
- ჟურნალ-ორდერული ფორმით;
- გამარტივებული ფორმით;

მცირე საწარმო თავისი შესაძლებლობებიდან, მუშაკთა რაოდენობიდან და წარმოებისა და მმართველობის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე დამოუკიდებლად ირჩევს ბუღალტრული აღრიცხვის ფორმას. ამასთან ერთად, მცირე საწარმოს შეუძლია მისთვის მისაღები ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრები დამოუკიდებლად შეუთავსოს თავისი საქმიანობის სპეციფიკას, შემდეგ პირობების აუცილებელი დაცვით.

- ბუღალტრული აღრიცხვის ერთიანი მეთოდოლოგია ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების ერთიანი პრინციპების დაცვა და ორმაგი ჩაწერა;
- ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის მონაცემთა ურთიერთკავშირი, ბრუნვებისა და ნაშთების ყოველთვიურად გამოყვანა ბუღალტრულ ანგარიშებზე;
- პირველადი აღრიცხვის დოკუმენტების საფუძველზე ყველა სამეურნეო ოპერაციის ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებში ასახვა;
- პირველადი აღრიცხვის საბუთების მონაცემთა დაგროვება სისტემატიზაცია იმ მაჩვენებელთა ჭრილში, რაც აუცილებელია მცირე საწარმოს მმართველობისათვის და საქმიანობის კონტროლისათვის, აგრეთვე ბუღალტრული ანგარიშგების შედგენისათვის.

მცირე საწარმოები დადგენილი წესის მიხედვით წარადგენენ ბუღალტრულ ბალანსს და მოგება ზარალის ანგარიშს.

## 2. ბუღალტრული აღრიცხვის ფორმები

### მცირე საწარმოებისთვის

#### 2.1. ბუღალტრული აღრიცხვის ორგანიზაცია

2.1.1. მცირე საწარმოების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სისტემაში და ბუღალტრული აღრიცხვის რეგისტრებში, სამეურნეო ოპერაციების ასახვა წარმოებს ორმაგი ჩაწერის მეთოდის გამოყენებით. ორმაგი ჩაწერის არსი მდგომარეობს ცალკეული სამეურნეო ოპერაციის ერთდროულად ბუღალტრული აღრიცხვის ორ ურთიერთდამაკავშირებელ ანგარიშებზე ასახვაში.

2.1.2. გამარტივებული ფორმით აღრიცხვის ორგანიზაციისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა



ტიპური გეგმის საფუძველზე მცირე საწარმოს შეუძლია შეადგინოს სამეურნეო ოპერაციების ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა სამუშაო გეგმა, რომელიც საშუალებას მისცემს მას აწარმოოს საშუალებებისა და წყაროების აღრიცხვა ბუღალტრულ რეგისტრებში მთავარ ანგარიშებზე და ამით უზრუნველყოფს კონტროლი საწარმოს ქონებაზე, შესრულებულ სამუშაოებზე, გაწეულ მომსახურებაზე და აქედან გამომდინარე კი ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემთა უტყუარობაზე.

ამასთან დაკავშირებით, მცირე საწარმოებს რეკომენდაცია ეძლევათ გამოიყენონ ბუღალტრული აღრიცხვის შემდეგი ანგარიშთა გეგმა:

განაყოფი	ანგარიშის დასახელება	ანგარიშის ნომერი	საქმიანობის სახე, სადაც უპირატესად გამოიყენება ანგარიში
1	2	3	4
ძირითადი საშუალებები და გრძელვადიანი დაზანდებანი	ძირითადი საშუალებები	01	საქმიანობის ყველა სახე
	ძირითადი საშუალებების ცვეთა	02	“-“
	კაპიტალური დაზანდებანი	08	“-“
საწარმოო მარაგები	მასალები	10	“-“
დანახარჯები წარმოებაზე	ძირითადი წარმოება	20	“-“
მზა პროდუქცია, საქონელი და რეალიზაცია	საქონელი რეალიზაცია	46	“-“

ანგარიშთა გეგმის გაგრძელება

1	2	3	4
ფულადი საშუალებანი	სალარო	50	“-“
	ანგარიშსწორების ანგარიში	51	“-“
	სავალუტო ანგარიში	52	“-“
	სპეციალური ანგარიშები ბანკებში	55	“-“
	ფინანსური დაზანდებანი	58	“-“



ანგარიშსწორებანი	ანგარიშსწორებანი მიმწოდებელთან და მოიჯარებთან	60	
	ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან	68	
	ანგარიშსწორებანი სოცდაზღვევით	69	“-“

ანგარიშთა გეგმის გაგრძელება

	ანგარიშსწორებანი შრომის ანაზღაურებით	79	“-“
	ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან	76	“-“
ფინანსური შედეგები და მოგების გამოყენება	მოგება და ზარალი	80	“-“
კაპიტალი და რეზერვები	საწესდებო კაპიტალი	85	“-“
	სპეციალური დანიშნულების ფონდები	88	“-“
ბანკის კრედიტები და დაფინანსება	კრედიტები და სხვა სასესხო საშუალებები	90	“-“

## 2.2. ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის გამოყენების წესი

2.2.1. მცირე საწარმო, იყენებს რა ანგარიშთა სამუშაო გეგმას, სამეურნეო ოპერაციების, ცალკეული დასახელება ქონებისა და ვალდებულებების აღრიცხვას ახდენს ბუღალტრული აღრიცხვას ახდენს ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე, საწარმოს საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა ტიპურ გეგმაში მათი დაჯგუფების შესაბამისად.

2.2.2. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა წარმოებს 01 ანგარიშზე - „ძირითადი საშუალებები“: ძირითადი საშუალებების ცვეთა“.



ობიექტების მიხედვით ძირითადი საშუალებების ცვეთა (საამორტიზაციო ანარიცხები სრულ აღდგენაზე) აღრიცხვაში აისახება ამორტიზაციის მოქმედი ნომრების (არსებული წესით დამტკიცებული ან ძირითადი საწარმოო ფონდების დაჩქარებული ამორტიზაციის მექანიზმით განსაზღვრული) თანახმად გაანგარიშებულ თანხებში ძირითადი ფონდების საწყისი (აღდგენითი) ღირებულებიდან გამომდინარე.

ძირითადი საშუალებების მოქმედებიდან გასვლის შემთხვევაში, (ჩამოწერა, გაყიდვა და ა. შ.) მათი საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება 01 ანგარიშიდან „ძირითადი საშუალებები „02 ანგარიშის „ძირითადი საშუალებების ცვეთა“ დებეტში.

ძირითადი საშუალებების არაამორტიზებული ნაწილი, აგრეთვე დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია მათ გასვლასთან, ამოიწერება 80 ანგარიშის „მოგება და ზარალი“ დებეტში. ძირითადი საშუალებების უსასყიდლოდ გადაცემის დროს გამოვლენილი ფინანსური შედეგი მიეკუთვნება მცირე საწარმოს საკუთარ განკარგულებაში დარჩენილ მოგებას.

01 ანგარიშზე „ძირითადი საშუალებები“ რეკომენდირებულია აღრიცხოს მცირე საწარმოს საკუთრებაში არსებული არამატერიალური აქტივებიც. არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია აღრიცხება 02 ანგარიშზე „ძირითადი საშუალებების ცვეთა“.

2.2.3. კაპიტალური დაბანდების განხორციელების შემთხვევაში, მშენებლობასთან ან მიმწოდებლებისა და მოიჯარეების ანგარიშების მიხედვით ძირითადი საშუალებების შეძენასთან დაკავშირებული დანახარჯები 60 ანგარიშიდან „ანგარიშსწორებანი მიმწოდებლებთან და მოიჯარეებთან“ ან ფულადი საშუალებების აღრიცხვის ანგარიშებიდან (51 „ანგარიშსწორების ანგარიში“, 52 „სავალუტო ანგარიში“ და სხვ), ან 90 ანგარიშიდან „ბანკის მოკლევადიანი კრედიტები“, როდესაც ბანკის მიერ გამოყოფილი კრედიტი მიიმართება მიმწოდებლისა და მოიჯარეების ანგარიშების ასანაზღაურებლად, აისახება 08 ანგარიშის „კაპიტალური დაბანდების“ დებეტში.

ძირითადი საშუალებების ობიექტების შეძენასთან ექსპლუატაციაში მიღებასთან დაკავშირებული დანახარჯები, რომლებიც აღრიცხულია 08 ანგარიშზე „კაპიტალური დაბანდებანი“ ჩამოიწერება ამ ანგარიშიდან 01 ანგარიშის ძირითადი საშუალებები“ დებეტში იმ მოცულობით, რაც დაკავშირებულია მათ შეძენასთან და მიღებასთან.

2.2.4. საწარმოო მარაგები, რომლებიც ასახულია ტიპურ ანგარიშთა გეგმის 07 „დასადგმელი მოწყობილობანი“, 10 „მასალები“ 11 „გასაზრდელი და გასასუქებელი პირუტყვი“, 12 „მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნები“, 15 „მასალების დამზადება და შექმნა“ და 16 „გადახრა მასალების ღირებულებიდან“ ანგარიშებზე, აღრიცხება 10 ანგარიშზე „მასალები“. ამ შემთხვევაში, მცირე საწარმო ფასიან და სწრაფცვეთად საგნებს აღრიცხავს როგორც მასალებს და შეუძლია მათი მთლიანი ღირებულება ჩამოიწეროს პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების დანახარჯებზე ექსპლუატაციაში შესვლის თარიღისათვის.

მცირე საწარმოს რეკომენდაცია ეძლევა მასალების აღრიცხვა აწარმოს თვითღირებულების საშუალო შეწონილი (საშუალო) მეთოდით, რომლის მიხედვითაც წარმოებაზე ჩამოწერილი ან ნაშთად დარჩენილი მასალების ცალკეული ერთეული (სახე, ჯგუფი) ფასდება იმ ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება მათი საერთო ღირებულების (სააღრიცხვო პერიოდის დასაწყისისათვის არსებული ნაშთის ჩათვლით) გაყოფით მათ რაოდენობაზე.

ექსპლუატაციაში გადაცემული მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების დაცვის უზრუნველყოფის მიზნით, მცირე საწარმოებში უნდა წარმოებდეს მათი ოპერატიული აღრიცხვა და კონტროლი მათ მოძრაობაზე. მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების ექსპლუატაციიდან საწყობში დაბრუნებისას და მათი ნარჩენი ღირებულების (გამოყენების შესაძლებელი ფასით) შემოსავალში აღებისას კეთდება ჩანაწერი 10 ანგარიშის „მასალები“ დებეტში და 20 ანგარიშის „ძირითადი წარმოება“ კრედიტში.

შეძენილი მცირეფასიანი და სწრაფცვეთადი საგნების მიხედვით დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი აღრიცხება 68 ანგარიშის „ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან“ საბუნგარიშზე „დამატებულ ღირებულებაზე გადასახადი შეძენილი მატერიალური ფასეულობების მიხედვით“.



2.2.5. წარმოების დანახარჯების აღრიცხვის ოპერაციები, რომლებიც ასახულია 20 „ძირითადი წარმოება“, 21 „საკუთარი წარმოების ნახევარფაბრიკატები“, 23 „დამხმარე წარმოებანი“, 25 „საერთო საწარმოო ხარჯები“, 26 „საერთო - სამეურნეო ხარჯები“, 28 „წუნი წარმოებაში“, 20 „არაკაპიტალური სამუშაოები“, 44 „მიმოქცევის ხარჯები“ ანგარიშებზე - აღრიცხება 20 ანგარიშზე „ძირითადი წარმოება“.

პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებასთან დაკავშირებული დანახარჯების აღრიცხვა მცირე საწარმოების მიერ წარმოებს დანახარჯების სახეების (შრომის ანაზღაურების ხარჯები, მასალები, ამორტიზაცია და სხვა) ჭრილში აღრიცხვის იმ ობიექტების მიხედვით, რომლებიც კი შეიძლება ქონდეს წარმოებას საერთოდ, პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) სახეობის მიხედვით, პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების ადგილის მიხედვით, წარმოებაზე პასუხისმგებელი პირების მიხედვით და ა. შ. ამასთან ერთად, მცირე საწარმოს შეუძლია დანახარჯების აღრიცხვა ობიექტების მიხედვით აწარმოოს პირდაპირი და ძირითადი (ზედნადები) დანახარჯების ჭრილში. მოცემულ შემთხვევაში მცირე საწარმოს რომელსაც აქვს აღრიცხვის ობიექტების მნიშვნელოვანი რაოდენობა (პროდუქციის სახეობები, წარმოების ობიექტები და ა. შ.) და საწარმოო პროცესის არახანგრძლივი ციკლი შეუძლია საერთო-სამეურნეო (ზედნადები) ხარჯები პირდაპირ ჩამოწეროს მთლიანი თანხით, რეალიზებულ პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე).

ძირითადი საწარმოო საშუალებების ყველა სახეობის რემონტთან დაკავშირებული დანახარჯები, თუკი ისინი ჩატარებულია საკუთარი ძალებით ჩაირთვება პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულებაში შესაბამისი მუხლებით (მასალები, ხელფასი და სხვა), ხოლო სამუშაოების საიჯარო წესით ჩატარებისას კი საერთო-სამეურნეო (ზედნადები) დანახარჯები მუხლით.

2.2.6. მზა პროდუქციის (ანგარიში 40 „მზა პროდუქცია“) და საქონლის (ანგარიში 41 „საქონელი“) აღრიცხვა წარმოებს 41 ანგარიშზე „საქონელი“. მცირე საწარმოს მიერ შექმნილი საქონელი რეკომენდებულია აღრიცხოს შექმნის ფასებით, შემდგომში რეალიზაციისას მათი საშუალო შეწონილი თვითღირებულებით ჩამოწერით. საქონელი შეიძლება აღრიცხოს აგრეთვე გასაყიდი ფასებით სავაჭრო დარიცხვის გამოყენებით.

2.2.7. მცირე საწარმოს პროდუქციისა (სამუშაოების, მომსახურების) და სხვა ქონების რეალიზაციის აღრიცხვა, აგრეთვე ამ ოპერაციების მიხედვით ფინანსური შედეგების განსაზღვრა, რომლებიც აღრიცხულია ბუღალტრული აღრიცხვის ტიპური ანგარიშთა გეგმის 45 „გადატვირთული საქონელი“, 46 „პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაცია“ დ 62 „ანგარიშსწორებანი მყიდველთან და შემკვეთთან“ ანგარიშებზე, ხორციელდება 46 ანგარიშზე „რეალიზაცია“.

მცირე საწარმოების მიერ შემოსავლებისა და დანახარჯების განაღდება მეთოდის გამოყენებისას, ფულადი სახსრების (ან ქონების) შემოსვლამდე 46 ანგარიშის „რეალიზაცია“ დებეტში განკერძოებულად აისახება გადატვირთული (გაყიდული) ფასეულობების (სამუშაოების, მომსახურების) ფაქტიური თვითღირებულება. ფულადი სახსრების შემოსავლისას დებიტდება ფულადი საშუალებების აღრიცხვის ანგარიში, 46 ანგარიშთან „რეალიზაცია“ კორესპონდენციით, ხოლო ვალდებულებების სხვა წესებით შესრულების შემთხვევაში (საქონელგაცვლითი ოპერაციები, ურთიერთდავალებათა ჩათვლა და ა. შ.) კი დებიტდება 76 ანგარიში „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“ 46 ანგარიშთან „რეალიზაცია“ კორესპონდენციით.

2.2.8. დებიტორული და კრედიტორული დავალიანების აღრიცხვა, რომელიც ხორციელდება 61 „ანგარიშსწორებანი გაცემული ავანსებით“, 63 „ანგარიშსწორებანი პრეტენზიებით“, 64 „ანგარიშსწორებანი მიღებული ავანსებით“, 71 „ანგარიშსწორებანი ანგარიშვალდებულ პირებთან“, 73 „ანგარიშსწორებანი დამფუძნებელთან“, 76 „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“, 78 „ანგარიშსწორებანი შვილეულ საწარმოებთან“, 79 „შიდა სამეურნეო ანგარიშსწორებანი“ ანგარიშებზე, რეკომენდირებულია წარმოებდეს 76 ანგარიშზე „ანგარიშსწორებანი დებიტორებთან და კრედიტორებთან“. მოცემულ ანგარიშზე აღრიცხვა წარმოებს გაშლილი სახით: დებეტში აისახება „დებიტორული დავალიანების წარმოშობა და კრედიტორული დავალიანების დაფარვა, კრედიტში კი - კრედიტორული დავალიანების წარმოშობა და დებიტორული დავალიანების დაფარვა“.

2.2.9. მცირე საწარმოები, რომელთაც გააჩნია ფინანსური დაბანდებანი მათი აღრიცხვისათვის იყენებენ 58 ანგარიშს „ფინანსური დაბანდებანი“. ამასთან ერთად, ანალიზურ აღრიცხვაში ცალკე აღრიცხება გრძელვადიანი ( 1 წელზე მეტი) და მოკლევადიანი (წლამდე ვადის ჩათვლით) დაბანდებანი.



2.2.10. ფინანსური შედეგები და მათი გამოყენება, რომლებიც ასახულია 80 „მოგება და ზარალი“, 81 „მოგების გამოყენება“, 87 „გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)“, სუბანგარიში „საანგარიშო წლის გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)“ და „გასული წლების გაუნაწილებელი მოგება (დაუფარავი ზარალი)“ ანგარიშებზე შეიძლება აღირიცხოს უშუალოდ 80 ანგარიშზე „მოგება და ზარალი“, (რისთვისაც 80 ანგარიშზე იხსნება ცალკე სუბანგარიში „მოგების გამოყენება“).

მოგებისა და მისი გამოყენების განსაზღვრის ოპერაციების აღრიცხვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის, რომ წლის განმავლობაში მოგებისა და მისი გამოყენების თანხები სააღრიცხვო რეგისტრებში აისახება გაშლილად: ანგარიშის კრედიტში - მზარდი ჯამით უჩვენებენ მოგებას, ხოლო ანგარიშის დებეტში - მის გამოყენებას.

წლის დამთავრებისას ბუღალტრული ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის ხდება მოგების შემცირება გამოყენებული მოგების თანხით და ბუღალტრულ ანგარიშგებაში აისახება საანგარიშო წლის გამოუყენებელი მოგება ან საანგარიშო წლის ზარალი.

მცირე საწარმოს მიერ წლის განმავლობაში ზარალის მიღებისა და აღრიცხვაში მოგების გამოყენების თანხის არსებობის შემთხვევაში, ზარალის თანხა რჩება 80 ანგარიშზე „მოგება და ზარალი როგორც ზარალი, ხოლო გეგმიურ ღონისძიებებზე 9საწარმოო და სოციალური განვითარება, მუშაკთა წახალისება), გამოყენებული თანხები აისახება როგორც ამ საშუალებათა გადახარჯვა 80 ანგარიშის სუბანგარიშზე „მოგების გამოყენება“.

მცირე საწარმოს მიერ წმინდა მოგების სპეციალური ფონდების ფორმირებაზე მიმართვის შემთხვევაში კეთდება ჩანაწერი 80 ანგარიშის „მოგება და ზარალი“ დებეტში და 88 ანგარიშის „სპეციალური დანაშაულების ფონდები“ კრედიტში. 88 ანგარიშზე აისახება აგრეთვე მცირე საწარმოს ქონებრივ მდგომარეობასთან დაკავშირებული ყოველგვარი ცვლილება, ნაწილობრივ, ქონების ჩამოფასება, უსასყიდლოდ მიღებული ქონების ღირებულება და ა. შ.

2.2.11. მცირე საწარმოების მიერ ანგარიშთა ტიპურ გეგმაში 90 \*ბანკის მოკლევადიანი კრედიტები\*, 92 „ბანკის გრძელვადიანი კრედიტები“, 95 „გრძელვადიანი სესხები“ ანგარიშებზე ასახული ბანკის კრედიტების, სასესხო და მიზნობრივი სახსრების აღრიცხვა წარმოებს 90 ანგარიშზე „კრედიტები და სხვა სასესხო საშუალებები“ მათი მიღების ვადებისა და სახეების მიხედვით. ბანკის კრედიტების დაფარვა ბუღალტრულ აღრიცხვაში აისახება 90 ანგარიშის „კრედიტები და სხვა სასესხო საშუალებები“ დებეტში და ფულადი საშუალებების აღრიცხვის ანგარიშების კრედიტში (51 „ანგარიშსწორების ანგარიში“, 52 „სავალუტო ანგარიში“ და სხვა.)

2.3. ბუღალტრული აღრიცხვის მარტივი ფორმა.

2.3.1. ბუღალტრული აღრიცხვის მარტივი ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს:

- მცირე საწარმოს ქონების აღრიცხვის რეგისტრების გამოყენების გარეშე;
- მცირე საწარმოს ქონების აღრიცხვის რეგისტრების გამოყენებით.

2.4. ბუღალტრული აღრიცხვის მარტივი ფორმა მცირე საწარმოს ქონების აღრიცხვის რეგისტრების გამოყენების გარეშე.

2.4.1. არასაწარმოო სფეროს მცირე საწარმოებს, რომლებიც ახორციელებენ უმნიშვნელო რაოდენობას სამეურნეო ოპერაციებს, არ გააჩნიათ პროდუქციისა და სამუშაოთა წარმოების ისეთი პროცესი, რომელიც მატერიალური რესურსების დიდ დანახარჯებთან არის დაკავშირებული, შეუძლიათ აწარმოონ ყველა ოპერაციის აღრიცხვის გზი ფორმა № წ-1-ის მიხედვით (დანართი 1).

სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წიგნის გარდა მომუშავეთა შრომის ანაზღაურებისა და შემოსავლებიდან გადასახადებით ბიუჯეტთან ანგარიშსწორებების აღრიცხვისათვის მცირე საწარმომ უნდა აწარმოოს აგრეთვე ხელფასის აღრიცხვის უწყისი ფორმა № უ-8-ის მიხედვით.

2.4.2. სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წიგნი (ფორმა № წ-1) წარმოადგენს ანალიზური და



სინთეზური აღრიცხვის რეგისტრს, რომლის საფუძველზეც განისაზღვრება მცირე საწარმოს საშუალებათა და მათი წყაროების არსებობა განსაზღვრული თარიღისათვის და დგება ბუღალტრული ანგარიშგება.

სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წიგნი წარმოადგენს კომბინირებულ რეგისტრს, რომელიც შეიცავს მცირე საწარმოს მიერ გამოყენებულ ბუღალტრულ ანგარიშებს და საშუალებას იძლევა თითოეულ მათგანზე სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წარმოებისა. ამასთან, იგი უნდა იყოს საკმაოდ დეტალური ბალანსის შესაბამისი მუხლების შინაარსის დასაბუთების მიზნით.

მცირე საწარმოს შეუძლია სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წიგნი აწარმოოს უწყისის სახით, რომელიც იხსნება ყოველი თვისათვის ცალ-ცალკე (საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ჩასადები ფურცლების გამოყენება ოპერაციების აღრიცხვისათვის ანგარიშების მიხედვით), ან წიგნის ფორმით, რომელიც ოპერაციების აღრიცხვა მოხდება მთელი საანგარიშო წლის მანძილზე. ამ შემთხვევაში წიგნი უნდა იყოს ზონარგაყრილი და დანომრილი; ბოლო გვერდზე იწერება წიგნის გვერდების რიცხვი, რომელიც მოწმდება საწარმოს ხელმძღვანელისა და მთავარი ბუღალტრის ხელმოწერით და მცირე საწარმოს ბეჭდით.

სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვის წიგნი იხსნება წლის დასაწყისისათვის (საწარმოს საქმიანობის დასაწყისისათვის) არსებული ნაშთების თანხით საშუალებებისა და წყაროების თითოეული სახეობის მიხედვით.

წიგნის მე-3 სვეტში „ოპერაციების შინაარსი“ იწერება თვე და ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, პოზიციურად, აისახება მოცემული თვის ყველა სამეურნეო ოპერაცია თითოეული პირველადი დოკუმენტის საფუძველზე.

ამასთან, თითოეული ოპერაციის თანხა, რომელიც წიგნში რეგისტრირებულია სვეტში „თანხა“, ორმაგი ჩაწერის მეთოდით ერთდროულად აისახება დებეტისა და კრედიტის სვეტებში შესაბამისი საშუალებების და წყაროების აღრიცხვის ანგარიშების მიხედვით.

თვის განმავლობაში № 20 ანგარიშის („ძირითადი წარმოება“) სვეტში „წარმოების დანახარჯები“ დებეტი“ თავს იყრის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების დანახარჯები. თვის დამთავრებისას მოცემული დანახარჯები იმ თანხით, რაც მოდის თვის დამთავრებისას მოცემული დანახარჯები იმ თანხით, რაც მოდის თვის განმავლობაში რეალიზებულ პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) ჩამოიწერება № 46 ანგარიშის „რეალიზაცია“ დებეტში, რაც აისახება წიგნის შესაბამის სვეტებში „წარმოების დანახარჯები“ რაც აისახება წიგნის შესაბამის სვეტებში „წარმოების დანახარჯები- კრედიტი“ და „რეალიზაცია - დებეტი“. ამასთან, წიგნის მე-3 სვეტში „ოპერაციების შინაარსი“ კეთდება ჩანაწერი - „ჩამოწერილია რეალიზებული პროდუქციის წარმოებაზე გაწეული ხარჯები“.

პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის ფინანსური შედეგი განისაზღვრება, როგორც სხვაობა ბრუნვებს შორის, რომელიც ასახულია სვეტებში „რეალიზაცია - კრედიტი“ და „რეალიზაცია- დებეტი“.

აღნიშნული ფინანსური შედეგი წიგნში აისახება ცალკე სტრიქონზე: მე-3 სვეტში კეთდება ჩანაწერი „თვის ფინანსური შედეგი“, სვეტებში „თანხა“, „რეალიზაცია - დებეტი“ (თუ მიღებულია მოგება) და „მოგება და მისი გამოყენება - კრედიტი“, ან რეალიზაცია - კრედიტი“ (თუ მიღებულია ზარალი) და „მოგება და მისი გამოყენება - დებეტი“, ნაჩვენებია ფინანსური შედეგის თანხა თვის მიხედვით.

თვის დამთავრებისას გამოითვლება ყველა საშუალებებისა და წყაროების აღრიცხვის ანგარიშების დებეტისა და კრედიტის ბრუნვათა ჯამური თანხები, რომლებიც ტოლი უნდა იყოს მე-4 სვეტში ნაჩვენები საშუალებათა ჯამისა.

ბუღალტრული ანგარიშების დებეტისა და კრედიტის ბრუნვების თვიური ჯამების გამოთვლის შემდეგ გამოიყენება სალდო მათი თითოეული სახეობის (ანგარიშის) მიხედვით მომდევნო თვის პირველი რიცხვისათვის.

2.5. ბუღალტრული აღრიცხვის ფორმა საწარმოს ქონების აღრიცხვის რეგისტრების გამოყენებით.





2.5.1. მცირე საწარმოებს, რომელთაც გააჩნიათ ქონება და პროდუქციისა და სამუშაოთა წარმოების მარტივი პროცესი, რეკომენდაცია ეძლევათ თავიანთი საფინანსო-სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვისათვის გამოიყენონ შემდეგი სააღრიცხვო რეგისტრები:

ძირითადი საშუალებებისა და დარიცხული ამორტიზაციის (ცვეთის) ანარიცხების აღრიცხვის უწყისი - ფორმა № უ-1 (დანართი 2);

საწარმოო მარაგებისა და მზა პროდუქციის აღრიცხვის უწყისი - ფორმა № უ-2 (დანართი 3);

წარმოების ხარჯების აღრიცხვის უწყისი - ფორმა № უ-3 (დანართი 4);

ფულადი საშუალებებისა და ფონდების აღრიცხვის უწყისი - ფორმა № უ-4 (დანართი 5);

ანგარიშსწორებისა და სხვა ოპერაციების აღრიცხვის უწყისი - ფორმა № უ-5 (დანართი 6);

რეალიზაციის აღრიცხვის უწყისი - ფორმა № უ-6 (დანართი 7 და 8);

მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის უწყისი - ფორმა № უ-7 (დანართი 9);

ხელფასის აღრიცხვის უწყისი - ფორმა № უ-8 (დანართი 10);

უწყისი (ჭადრაკული) - ფორმა № უ-9 (დანართი 11).

2.5.2. თითოეული უწყისი, როგორც წესი, გამოიყენება ოპერაციების აღრიცხვისათვის თითოეული გამოყენებული ბუღალტრული ანგარიშის მიხედვით.

ამდენად, ნებისმიერი ოპერაციის თანხა ერთდროულად იწერება ორ უწყისში: ერთში - ანგარიშის დებეტში მაკორესპონდენტო ანგარიშის ნომერის ჩვენებით, ხოლო მეორეში - პირიქით.

ორივე უწყისში „ოპერაციის შინაარსი“ (ან ოპერაციის მახასიათებელი) პირველადი სააღრიცხვო დოკუმენტაციის ფორმების საფუძველზე კეთდება ჩანაწერები ჩატარებული ოპერაციის არსის, შიფრის და სხვა სახით.

საშუალებათა ნაშთები ცალკეულ უწყისებში უნდა შედარდეს პირველადი დოკუმენტების შესაბამის მონაცემებთან, რომელთა საფუძველზეც მოხდა ჩანაწერების გაკეთება (საკმაო ანგარიშები, ბანკების ამონაწერები და სხვა.).

მცირე საწარმოს ფინანსურ-სამეურნეო საქმიანობის თვიური შედეგების განზოგადება, რომელიც ასახულია უწყისებში, წარმოებს № უ-9 ფორმის (ჭადრაკული) უწყისში, რომლის საფუძველზეც დგება ბრუნვის უწყისი;

ბუღალტრული ანგარიშის ნომერი	სალო 1-თვის		სალო 1-თვის		სალო 1-თვის	
	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი	დებეტი	კრედიტი
1	2	3	4	5	6	7

აღნიშნული ბრუნვის უწყისი წარმოადგენს ბუღალტრული ბალანსის შედგენის საფუძველს.

ყველა გამოყენებულ უწყისში მიეთითება შევსების თვე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში -



სინთეზური ანგარიშების სახელწოდებაც. თვის ბოლოს ბრუნვების ჯამების გამოთვლის შემდეგ უწყის ხელს აწერენ პირები, რომელთა მიერ მოხდა უწყისის წარმოება.

მიმდინარე თვეში იმ ოპერაციების ბრუნვების ცვლილება, რომლებიც წინა პერიოდებს მიეკუთვნებიან, საანგარიშო პერიოდის რეგისტრებში აისახება დამატებით ჩანაწერის გზით (ბრუნვების შემცირება - წითლად).

შეცდომები უწყისებში სწორდება არასწორი ტექსტის ან თანხის გადახაზვით და გადახაზულზე სწორი ტექსტის ან თანხის დაწერით. გადახაზვა უნდა მოხდეს წვრილი ხაზით ისე, რომ იკითხებოდეს არასწორი ჩანაწერი.

ყოველი შეცდომის გასწორებას შესაბამის უწყისში თან უნდა ახლდეს წარწერა - „შესწორებულია“, თარიღის ჩვენებით და უნდა დამოწმდეს აღრიცხვის მუშაკის ხელმოწერით.

2.5.3. ძირითადი საშუალებებისა და საამორტიზაციო ანარიცხების (ცვეთის) აღრიცხვის უწყისი - ფორმა № უ-1.

№ უ-1 ფორმის უწყისი წარმოადგენს ძირითადი საშუალებების არსებობისა და მოძრაობის (ანგარიში № 01) „ძირითადი საშუალებები“), აგრეთვე ამორტიზაციის ანარიცხების (ანგარიში № 02 ძირითადი საშუალებების ცვეთა (ამორტიზაცია)“) თანხების ანალიზური და სინთეზური აღრიცხვის რეგისტრს.

ძირითადი საშუალებების შესახებ მონაცემები უწყისში ჩაიწერება პოზიციურად თითოეული ობიექტის მიხედვით ცალ-ცალკე.

ყოველთვიურად, ძირითადი საშუალებების მოძრაობის შემთხვევაში, გამოითვლება მათი ბრუნვების თანხები და გამოიყენება ძირითადი საშუალებების ნაშთი საანგარიშო მომდევნო თვის პირველი რიცხვისთვის.

ძირითადი საშუალებების გადაადგილება საწარმოს შიგნით უწყისში არ აისახება.

ამორტიზაციის ანარიცხები სრული აღდგენისათვის განისაზღვრება ძირითადი საშუალებების პირველადი ღირებულებებიდან, მიღებული (დამტკიცებული ან დაჩქარებული) ნორმების შესაბამისად.

ამორტიზაციის ანარიცხების დარიცხვისას მხედველობაში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ მათი თვიური თანხების ცვლილება ძირითადი საშუალებების მოძრაობის შედეგად ხდება მომდევნო თვეში, მათი შემოსვლის ან გასვლის აღრიცხვის შემდეგ.

ყველა ძირითადი საშუალების ცვეთისა და აქტიური ნაწილის დარიცხული ამორტიზაციის თანხების კონტროლისათვის უწყისში გათვალისწინებულია შესაბამისი სვეტები ამორტიზაციის მზარდი ჯამით აღრიცხვისათვის.

უწყისის მონაცემები დარიცხული ამორტიზაციის ანარიცხების შესახებ გამოიყენება ოპერაციების მოძრაობის ასახვისათვის № უ-3 და № უ-4 უწყისებში.

თუ საწარმოს მნიშვნელოვანი რაოდენობის ძირითადი საშუალებები გააჩნია, მას შეუძლია აღრიცხვა აწარმოოს პირველადი ფორმების N N ძს-6, ძს-7, ძს-8, ძს-9 გამოყენებით. ძირითადი საშუალებების მოძრაობის აღრიცხვის ბარათების (N ძს-8) ჯამური მონაცემების საფუძველზე წარმოებს ძირითადი საშუალებების მოძრაობის კრებსითი აღრიცხვა N 01 ანგარიშის მიხედვით N უ-1 უწყისში.

ამ შემთხვევაში ამორტიზაციის ანარიცხების დარიცხვა წარმოებს აღრიცხვის ჟურნალ-ორდერული ფორმის N6 ან N 7 დამუშავებით ცხრილებში.

2.5.4. საწარმოო მარაგებისა და მზა პროდუქციის აღრიცხვის უწყისი - ფორმა № უ-2.

უწყისი № უ-2 განკუთვნილია საწარმოო მარაგებისა და მზა პროდუქციის ანალიზური და სინთეზური აღრიცხვისათვის, რომლებიც აისახება № 10 „მასალები“ და № 40 „მზა პროდუქცია“ ანგარიშებზე.



უწყისი იხსნება ყოველთვიურად. მას აწარმოებს მატერიალური პასუხისმგებელი პირი (ან ბუღალტერიის თანამშრომელი) საწარმოო მარაგებისათვის და მზა პროდუქციისათვის ცალ-ცალკე ყველა ფასეულობათა ჭრილში, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ადგილი ამა თუ იმ ფასეულობის საანგარიშო თვის მანძილზე.

ფასეულობათა ღირებულება განისაზღვრება და აისახება უწყისში მისი შემენის ფასის, სატრანსპორტო ხარჯებისა და მომწოდებლების საანგარიშსწორებო დოკუმენტებში მითითებული დანამატებიდან გამომდინარე.

საწარმოში ორი ან მეტი მატერიალურად პასუხისმგებელი პირის შემთხვევაში, თითოეული მათგანი აწარმოებს ფასეულობათა არსებობისა და მოძრაობის № უ-2 უწყისს, რომელთა საფუძველზეც ბუღალტერიაში დგება მცირე საწარმოს კრებსითი № უ-2 უწყისი თვის შედეგების მიხედვით.

წარმოებასა და რეალიზაციაში მასალებისა და პროდუქციის გაშვების მონაცემების N უ-2 უწყისიდან (ან კრებსითი უწყისიდან ) გადაიტანება, შესაბამისად, N უ-3 „წარმოების დანახარჯების აღრიცხვისა“, ან N უ-6 – „რეალიზაციის აღრიცხვის“ უწყისებში.

#### 2.5.5. წარმოების ხარჯების აღრიცხვის უწყისი - ფორმა N უ-3.

უწყისი N უ-3 გამოიყენება წარმოების დანახარჯებისა და კაპიტალური დაბანდებების ხარჯების ანალიზური და სინთეზური აღრიცხვისათვის, რომლებიც აისახება ანგარიშებზე N 20 – „ძირითადი წარმოება“ და N 08 – „კაპიტალური დაბანდებები“ (კაპიტალური დაბანდებების აღრიცხვისათვის იხსნება ცალკე უწყისი).

პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოების ხარჯების აღრიცხვა ხდება წარმოებების მიხედვით გამოშვებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ჭრილში.

N 20 - ანგარიშის დებეტში თავს იყრის დანახარჯები სხვადასხვა ანგარიშების კრედიტებიდან, იმ მონაცემებიდან გამომდინარე, რომლებიც თავმოყრილია სხვადასხვა უწყისებში (N N: უ-2, უ-4, უ-5 და ა. შ) ცალკეული პირველად დოკუმენტებში თავმოყრილი მონაცემების საფუძველზე.

ერთ უწყისში შეიძლება დანახარჯების ცალ-ცალკე აღრიცხვა პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) წარმოებაზე მისი სახეობების მიხედვით და წარმოების მმართველობაზე (ზედნადები ხარჯები). თვის დამთავრებისა და ყველა დანახარჯების დაჯამების (მე-11 სვეტში) შემდეგ, მმართველობის ხარჯების ჯამური თანხა შეიძლება განაწილდეს წარმოებული პროდუქციის სახეობის მიხედვით, ან მთლიანად ჩამოიწეროს რეალიზებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ხარჯებზე. პირველ შემთხვევაში კეთდება ჩანაწერები მე-11 სვეტში წითელი მელნით ულ დანახარჯები მმართველობაზე (ზედნადები დანახარჯები)“ სტრიქონის გასწვრივ და შავი მელნით- წარმოებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) დანახარჯების აღრიცხვის სტრიქონების (ობიექტების) მიხედვით.

რეალიზებულ პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე) დანახარჯების ჩამოწერის დროს მათი ღირებულება ჩამოიწერება რეალიზაციაზე N 46 ანგარიშის და აისახება უწყისის მე-16 სვეტში - „რეალიზებულია“.

დანახარჯების განსაზღვრისას იმ პროდუქციაზე (სამუშაოებზე, მომსახურებაზე, ) რომლის წარმოებაც დამთავრებულია, საჭიროა დადგინდეს მისი ფაქტიური თვითღირებულება, რომელიც ჩამოიწერება N20 ანგარიშის კრედიტიდან შესაბამისი ანგარიშების დებეტზე პროდუქციის გამოყენების მიმართულების მიხედვით - საწყობში (ანგარიში N 40 „მზა პროდუქცია“), რეალიზაცია ( ანგარიში N 46 „რეალიზაცია“) და სხვ.

დაუმთავრებელი პროდუქციის დანახარჯები აღრიცხება N 20 ანგარიშზე წარმოებების (პროდუქციის სახეობათა) ჭრილში, როგორც დაუმთავრებელი წარმოება.

დაუმთავრებელი წარმოების ნაშთები თვის დასაწყისისათვის უწყისში აისახება გასული თვის N 3-უწყისის მონაცემების შესაბამისად, ხოლო ნაშთში თვის ბოლოსათვის განისაზღვრება დაუმთავრებელი წარმოების ინვენტარიზაციის აქტების, ან სააღრიცხვო მონაცემების საფუძველზე.



2.5.6. ფულადი საშუალებებისა და ფონდების აღრიცხვის (უწყისი N უ-4) და ანგარიშსწორებათა და სხვა ოპერაციების აღრიცხვის (უწყისი N უ-5) უწყისები.

უწყისი N უ-4 მცირე საწარმოს მიერ გამოიყენება ფულადი საშუალებებისა და ფონდების აღრიცხვისათვის, რომლებიც აისახებიან შემდეგ ბუღალტრულ ანგარიშებში: N 02 „ძირითადი საშუალებების ცვეთა (ამორტიზაცია)“, N 50 „სალარო“, N 51 „ანგარიშსწორების ანგარიში“, N 52 „სავალუტო ანგარიში“, N 80 „მოგება და ზარალი“, N 85 „საწესდებო ფონდი“.

უწყისი N უ-5 გამოიყენება ოპერაციების აღრიცხვისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებზე, რომლებიც იყოფიან სუბანგარიშებად და მოითხოვენ საშუალებების ან დავალიანებების ნაშთების აღრიცხვას მზარდი ჯამით შემდეგი სუბანგარიშების და მათი სახეების მიხედვით: N 55 „სპეციალური ანგარიშები ბანკებში“, N 58 „მოკლევადიანი ფინანსური დაბანდებანი“, N 76 „ანგარიშსწორებანი სხვადასხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან“, N 68 „ანრაგისწორებანი ბიუჯეტთან“, N 69 „ანგარისწორებანი სოცდაზღვევით“, N 88 „სპეციალური დანიშნულების ფონდები“, N 90 „კრედიტები და სხვა ნასესხები საშუალებები“.

ფულადი საშუალებების მიღება და გაცემა, საშემოსავლო და საგასავლო დოკუმენტების გაფორმება, საკასო წიგნის წარმოება, საკასო ოპერაციების ანგარიშების შედგენა ხორციელდება საკასო ოპერაციების წარმოების წესების შესაბამისად.

ჩანაწერები უწყისში ფულადი საშუალებების აღრიცხვის, ანგარიშსწორების ანგარიშის ოპერაციებისა და ბანკში სხვა ანგარიშების მიხედვით წარმოებს ბანკის ამონაწერებისა და სხვა მასთან თანდართული დოკუმენტების საფუძველზე, ანგარიშსწორების ანგარიშის ოპერაციების განხორციელება და გაფორმება ხდება ეროვნული ბანკის შესაბამისი დებულებებით დადგენილი წესით.

ჩანაწერები უწყისში ანგარიშვალდებულ პირებთან და სხვა დებიტორებთან და კრედიტორებთან ანგარიშსწორებების აღრიცხვისათვის წარმოებს პოზიციების მიხედვით თვის ბოლოსთვის გაშლილი სალდოს გამოყვანით მცირე საწარმოსადმი დავალიანების მიხედვით - ანგარიშის დებიტში და მცირე საწარმოს დავალიანების მიხედვით - ანგარიშის კრედიტში, თითოეული კრედიტორისა და დებიტორის მიხედვით პირველადი დოკუმენტების მონაცემების საფუძველზე.

უწყისის ერთი ბლანკის გამოყენების შემთხვევაში იმ ოპერაციათა ასახვისათვის, რომლებიც რამდენიმე ბუღალტრულ ანგარიშშია აღრიცხული, თითოეული მათგანისათვის უწყისში გამოიყოფა სტრიქონების საჭირო რაოდენობა და სვეტში „საფუძველი“ იწერება თითოეულის ნომერი და დასახელება.

ამავე სვეტში იწერება დავალიანების სახეები, დებიტორები და კრედიტორები (მაგ: ანგარიში N 68 „ანგარიშსწორებანი ბიუჯეტთან“ ქვემოთ - მომუშავეთა საშემოსავლო გადასახადი; მოგების გადასახადი და სხვა.), ხოლო შემდეგ პოზიციურად თითოეული დებიტორისა და კრედიტორის გასწვრივ - სალდო და საშუალებათა მოძრაობა მათ მიხედვით თვის განმავლობაში.

თვის დამთავრებისას თითოეული ანგარიშის მიხედვით გამოითვლება დებიტისა და კრედიტის ბრუნვათა ჯამები და გამოიყენება სალდო საანგარიშო მომდევნო თვის პირველ რიცხვისათვის.

ოპერაციების გატარება N 80 ანგარიშზე „მოგება და ზარალი“ (ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მოგების გამოყენების ოპერაციები აგრეთვე ამ ანგარიშზე აისახება) უნდა მოხდეს შემდეგი წესით: სალდო საანგარიშო თვის დასაწყისისათვის ჩაიწერება, გაშლილად, ანგარიშის კრედიტში - მოგების თანხა სახეების მიხედვით წლის დასაწყისიდან საანგარიშო თვემდე, ხოლო დებიტში - მოგების გამოყენების თანხა მიმართულებების მიხედვით წლის დასაწყისიდან საანგარიშო თვემდე.

ასეთივე წესით ჩაიწერება მიმდინარე თვის ფინანსური შედეგის ფორმირების ოპერაციები: დებიტში - ზარალი რეალიზაციიდან და რეალიზაციის გარეშე დანაკარგები, ხოლო კრედიტში - მოგება რეალიზაციიდან და რეალიზაციის გარეშე შემოსავლები. თვის ბოლოს კეთდება ჩანაწერი „სულ“ და გამოითვლება თვის განმავლობაში მიღებული საერთო ფინანსური შედეგი.

ამის შემდეგ აისახება თვის განმავლობაში მოგების გამოყენების ოპერაციების სახეების მიხედვით.



## 2.5.7. რეალიზაციის აღრიცხვის უწყისი N უ-6.

მცირე საწარმოები, იმისდა მიხედვით, თუ რა წესით განსაზღვრავენ ფინანსურ შედეგებს, რეალიზაციის (მყიდველებთან ანგარიშსწორებების) აღრიცხვისათვის იყენებენ უწყისი N უ-6-ის სხვადასხვა ვარიანტებს, კერძოდ, ფინანსური შედეგის განსაზღვრის დროს:

- მყიდველის (შემკვეთის) მიერ საანგარიშსწორებო დოკუმენტების ანაზღაურებისა და ანგარიშსწორების ანგარიშზე სახსრების შემოსავლის შესაბამისად გამოიყენება უწყისი N უ-6 (ანაზღაურება);

- მყიდველისათვის (შემკვეთისათვის) პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) გაგზავნა (შესრულებისა) და საბანკო დაწესებულებაში საგადასახდელი დოკუმენტების ჩაბარების შესაბამისად გამოიყენება უწყისი N უ-6 (გაგზავნა).

პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) მყიდველისათვის (შემკვეთისათვის) გაგზავნის შემთხვევაში ჩანაწერები უწყისში კეთდება თითოეული ანგარიშისათვის (მყიდველისათვის, პროდუქციის სახეობისათვის) პოზიციური წესით. სვეტებში გაგზავნილია გასაყიდად საანგარიშო თვის პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება) აისახება გაგზავნილი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) თვითღირებულება საწარმოო მარაგების ან წარმოების ხარჯების აღრიცხვის ანგარიშების კრედიტიდან და ამ პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ღირებულება გასაშვებ ფასში მყიდველისათვის (შემკვეთისათვის) წარდგენილი ანგარიშის თანახმად.

### ა. უწყისი N უ-6 (ანაზღაურება).

ფინანსური შედეგი მცირე საწარმოში, რომელიც იყენებს მოცემულ უწყისს განისაზღვრება როგორც სვეტების - „გადახდილია გასაშვები ფასის მიხედვით“ და „გადახდილი ფაქტიური თვითღირებულების მიხედვით“ მონაცემების სხვაობა.

იმ შემთხვევაში, როდესაც რეალიზებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ფაქტიური თვითღირებულება გამოითვალა არა მისი ყოველი სახეობის (ანგარიშის), არამედ მთლიანად თვის მიხედვით, იგი განისაზღვრება როგორც თვის დასაწყისისათვის მათი ნაშთების ფაქტიური თვითღირებულებისა და მიმდინარე თვეში გაგზავნილი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ჯამი მინუს თვის ბოლოსათვის გადაუხდელი ფასეულობებისა და მომსახურების ფაქტიური თვითღირებულება.

თვის ბოლოსათვის გადაუხდელი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ფაქტიური თვითღირებულება გამოითვლება როგორც გასაშვები ფასებით მისი ღირებულების ნამრავლი პროცენტზე, რომელიც განისაზღვრება თვის დასაწყისისათვის პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ფაქტიური თვითღირებულებისა და თვის განმავლობაში გაგზავნილი ჯამს ფარდობით გასაშვები ფასებით მათ ღირებულებასთან.

თვის დასასრულისათვის ჩანაწერები ჰადრაკული ფორმის N უ-9 უწყისში წარმოებს მოცემული უწყისიდან მხოლოდ რეალიზებული პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ნაწილში სვეტიდან „გადახდილია გასაშვები ფასებით“ (N 46 ანგარიშის „რეალიზაცია“ - კრედიტი).

N უ-6 უწყისში გამოვლენილი ფინანსური შედეგი „სვეტი“ მოგება თვის განმავლობაში“ გამოიყენება ოპერაციების ჩასაწერად N უ-4 უწყისში N 80 ანგარიშის „მოგება და ზარალი“ მიხედვით.

N 46 ანგარიშის დებეტის სალდო (უწყისის სვეტები ნაშთი თვის ბოლოსათვის“) გვიჩვენებს გაგზავნილი პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) ნაშთს, რომელიც მყიდველებისა და შემკვეთების მიერ არ არის გადახდილი თვის ბოლოსათვის.

### ბ. უწყისი N უ-6 (გაგზავნა).

აღნიშნული უწყისი აერთიანებს მყიდველებთან ანგარიშსწორებებისა (დებიტორული დავალიანების) - ანგარიში N 62 „ანგარიშსწორებანი მყიდველებთან და შემკვეთებთან“ და პროდუქციის (სამუშაოების, მომსახურების) რეალიზაციის აღრიცხვის ანგარიშებს - ანგარიში N 46 „რეალიზაცია“.



მოცემული უწყისის გამოყენების დროს ფინანსური შედეგი განისაზღვრება როგორც სხვაობა სვეტების „გაგზავნილია გასაყიდად საანგარიშო თვის პროდუქცია (სამუშაოები, მომსახურება)“ - გასაშვები ფასებით მონაცემსა და ფაქტიურ თვითღირებულებას შორის.

გადაუხდელი დებიტორული დავალიანება უწყისში აღირიცხება გასაშვებ ფასებში, ხოლო ჭადრაკული ფორმის N უ-9 უწყისში ანგარიშსწორებათა აღრიცხვა ხდება N 62 ანგარიშის გამოყენებით.

2.5.8. მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვის უწყისი N უ-7.

N უ-7 უწყისი გამოიყენება მომწოდებლებთან ანგარიშსწორების აღრიცხვისათვის, რომლებიც ასახულია N 60 ანგარიშზე „ანგარიშსწორებანი მომწოდებლებთან და მოიჯარეებთან“. უწყისი იხსნება საწარმოს დავალიანების ნაშთების გადატანით წინა თვის უწყისიდან მომწოდებლების ანგარიშების ჭრილში.

უწყისში N 60 ანგარიშის კრედიტიდან პოზიტიური წესით ჩაიწერეს მომწოდებლებისა და მოიჯარეების ანგარიშები შესრულებული სამუშაოებისა და მომსახურებისათვის, აგრეთვე მიღებული მატერიალური ფასეულობებისათვის.

დებეტში აისახება მომწოდებლებისა და მოიჯარეების ანგარიშების გადახდის ოპერაციები ( N N 51 „ანგარიშსწორების ანგარიში“, 55 „სპეციალური ანგარიშები ბანკში“ და სხვა . ანგარიშების კრედიტი)

2.5.9. ხელფასი აღრიცხვის უწყისი ვ უ-8.

N უ-8 უწყისი განკუთვნილია მუშებთან და მომსახურებებთან შრომის ანაზღაურების ანგარიშსწორების აღრიცხვისათვის, რომელიც ასახულია N 70 ანგარიშზე „ანგარიშსწორებანი პერსონალთან შრომის ანაზღაურებით“.

უწყისის განყოფილებაში „კრედიტი (დარიცხულია)“ აისახება საწარმოს მუშაკთათვის (შტატში მყოფთათვის და არამყოფთათვის) დარიცხული ხელფასის თანხები (პრემიების ჩათვლით) შესრულებულ სამუშაოზე, რომლებიც გამოითვლება საწარმოში მიღებული შრომის ანაზღაურების სისტემისა და ფორმების და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დანამატების, დარიცხვებისა და სხვა გაცემების მიხედვით. ხელფასი უწყისში ჯგუფდება მომუშავეთა კატეგორიების, აღრიცხვის ობიექტებისა და წარმოებების მიხედვით.

ამავე დროს განყოფილებაში „დებეტი (დაკავშირებულია)“ ხდება მომუშავეთა ხელფასიდან ყველა სახის დაკავებების ( საშემოსავლო გადასახადის, გაცემული ავანსების თანხის, ანგარიშვალდებული პირების მიერ დროულად დაუბრუნებელი თანხების და სხვა.)

გაანგარიშება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად და განისაზღვრება თანხა, რომელიც უნდა გაიცეს მომუშავეთათვის ხელზე.

უწყისი, ამავე დროს, წარმოადგენს საგადასახდელო დოკუმენტს და განკუთვნილია საწარმოს მუშაკთა ხელფასის გასაცემად.

საწარმოს მუშაკზე გაუცემელი ხელფასის არსებობის შემთხვევაში (ხელფასის გასაცემად დადგენილ 3 დღის გასვლის შემდეგ) ამ უწყისის სვეტში „ხელმოწერა მიღებაზე“ კეთდება ჩანაწერი: „დეპონირებულია“ და აღნიშნული თანხა თითოეულ მუშაკზე (პოზიციური ჩაწერის გზით) გადაიტანება მომავალი თვის უწყისის მე-4 სვეტში ‘ხელფასის ნაშთი თვის დასაწყისისათვის“.

თუ საწარმოში მომუშავეთა დიდი რაოდენობაა (მათ შორის შტატში არმყოფთა), დარიცხული ხელფასის და მისგან დაკავებების აღრიცხვის წარმოება შეიძლება ტიპური ფორმების N ტ-49 და N ტ-51 საანგარიშსწორებო უწყისებში.

ამ შემთხვევაში ოპერაციების თავმოყრა N 70 ანგარიშის მიხედვით N უ-8 უწყისში ხდება ტიპური უწყისების საფუძველზე.

N უ-8 უწყისში განისაზღვრება, აგრეთვე, სახელმწიფო სოციალური დაზღვევის ანარიცხების თანხები მომუშავეთა ხელფასის ანაზღაურებიდან დადგინილი წესით.



მოცემული უწყისის საფუძველზე N 69 ანგარიშის კრედიტის ბრუნვები „ანგარიშსწორებანი სოცდაზღვევით“ აისახება N უ-5 უწყისის სვეტში „კრედიტი“ და N უ-3 უწყისის სვეტში „დებეტში“.

#### 2.5.10. ჭადრაკული უწყისი N უ-9.

ფინანსურ-სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა იმ მცირე საწარმოებში, სადაც დანერგულია აღრიცხვის ფორმა საწარმოს ქონების აღრიცხვის რეგისტრების გამოყენებით, თვის ბოლოს მთავრდება გამოყენებულ უწყისში ბრუნვების ჯამების გამოთვლით და მათი აუცილებელი გადატანით ჭადრაკული ფორმის N უ-9 უწყისში.

უწყისი N უ-9 წარმოადგენს სინთეზური აღრიცხვის რეგისტრს და განკუთვნილია მიმდინარე აღრიცხვის მონაცემების განზოგადებისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშებში გაკეთებული ჩანაწერების სისწორის ურთიერთკონტროლისათვის.

უწყისი იხსნება თითოეული თვისათვის და განკუთვნილია თითოეული ანგარიშის დებეტისა და კრედიტის მონაცემების ცალ-ცალკე ჩასაწერად.

უწყისის ქვემდებარეში აუცილებელია განლაგდეს ანგარიშები მათი ნომრის ზრდის მიხედვით, ხოლო შემასმენელში - უწყისები ზრდად ნომრების მიხედვით.

თავდაპირველად უწყისი N უ-9 ივსება გამოყენებული უწყისებიდან (გამოიყენება სვეტის „მაკორესპონდირებელი ანგარიში“ მონაცემები) კრედიტების ბრუნვების გადატანით შესაბამისი ანგარიშების დებეტებში.

გადატანების დამთავრების შემდეგ გამოითვლება თითოეული ანგარიშის დებეტის ბრუნვის თანხა, რომელიც ტოლი უნდა იყოს შესაბამის უწყისში მოცემულ ანგარიშზე ასახული დებეტის ბრუნვისა.

თითოეული ანგარიშის დებეტის თანხები იკრიბება და იგი ტოლი უნდა იყოს ანგარიშების კრედიტების ბრუნვათა საერთო თანხისა.

თითოეული გამოყენებული ანგარიშის დებეტისა და კრედიტის ბრუნვები გადაიტანება ბრუნვის უწყისში, რომელშიც საანგარიშოს მომდევნო თვის პირველი რიცხვისათვის გამოითვლება სალდო თითოეული ანგარიშისათვის.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი დ. იაკობიძე

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის

სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ლ. გიგინეიშვილი

